

**დიდი ბაკური – ხურცილავა-კოდონიერის თეორია ქართული  
ასომთავრული ანბანის ავტორობის შესახებ**

ქართული ასომთავრული ანბანის წარმოშობის საკითხი ქართველოლოგიური კვლევების ერთ-ერთ უმთავრეს საკითხს განეკუთვნება. საკითხის მნიშვნელობას ამძაფრებს ქართული ასომთავრული ანბანის სიძველე და უნიკალურობა. ასომთავრული და მისგან განვითარებული ხუცური და მხედრული ვარიაციები განეკუთვნება იმ მცირერიცხოვან დამწერლობათა რიგს რომელზედაც, საუკუნეთა განმავლობაში, მდიდარი ორიგინალური ლიტერატურა შეიქმნა და მსოფლიო ლიტერატურის უმნიშვნელოვანესი თხზულებები ითარგმნა, რაც ქართველთათვის დღემდე სიამაყის საგანია, არცთუ უსაფუძვლოდ.

ჯერ კიდევ ადრეული საუკუნეებიდან იღებს სათავეს მისი წარმოშობის დროისა და ავტორის ვინაობისადმი ინტერესი. ამ მხრივ ურთიერთგამომრიცხავი ტრადიცია არსებობს ქართულ და სომხურ საისტორიო მწერლობაში, რომელთაგან პირველი ქართული დამწერლობის შექმნას, ძვ. წ. აღ. IV-III საუკუნეში მოღვაწე მეფე ფარნავაზს მიაწერს, ხოლო მეორე – ახ. წ. V საუკუნის სომეხ ქრისტიან მოღვაწეს, მესროპ მაშტოცს. ამ საკითხზე XIX საუკუნიდან მოყოლებული დღემდე გამოითქმება სხვადასხვა ჰიპოთეტური მოსაზრებები თუ სამეცნიერო თეორიები, რისი მოწმენიც ამ ბოლო ხანებშიც ვართ. დღესაც ამ ორ კითხვას, დროსთან და ავტორთან დაკავშირებით, აქტუალობა არ დაუკარგავს. არსებული თეორიები შეგვიძლია ორ ძირითად კატეგორიად დავყოთ თუმცა, ამ კატეგორიებში გაერთიანებულ მოსაზრებათა შორისაც არის გარკვეული სხვაობები და წინააღმდეგობრიობაც კი.

პირველ კატეგორიაში შედიან ის მეცნიერები, რომლებიც მიიჩნევენ, რომ ასომთავრული ანბანი ჩვენში ქრისტიანობის ოფიციალურად მიღებამდე (326 წ.) უნდა არსებულიყო და მას სემიტური დამწერლობა უდევს საფუძვლად. ივ. ჯავახიშვილი ასომთავრულის შექმნის თარიღად ძვ. წ. VII ს-ს მიიჩნევდა, ხოლო მის საფუძვლად ფინიკიურ ანბანს განიხილავდა; მოგვიანებით, ფინიკიურიდან წარმომავლობის შესახებ

აზრი გაიზიარა რ. პატარიძემ, თუმცა შექმნის თარიღად ძვ. წ. V ს. და-ასახელა; გ. წერეთელი ქართულ ანბანის წარმოშობას ე. წ. არმაზული არამეულის მეშვეობით ფინიკიურ-არამეულ დამწერლობას უკავშირებდა, თუმცა საამისოდ ის განიხილავდა არა ასომთავრულს, არამედ ანბანის ნუსხახუცურ სტილს; ბოლო დროს არქეოლოგმა ლევან ჭილაშვილმა ნეკრესის ნაქალაქარში ნაპოვნი რამდენიმე ასომთავრული წარწერა ქრისტიანობამდელ ხანას მიაკუთვნა, ხოლო ანბანის წარმოშობა დაუკავშირა მეფე ფარნავაზის ეპოქას და მაზდეანთა წმინდა წიგნის, ავესტის თარგმნის სურვილს.

მეორე კატეგორიაში ერთიანდებიან მეცნიერები, რომელთა თანახმადაც ასომთავრული უნდა შექმნილიყო ახ. წ. IV საუკუნეში, ქართლის სამეფოში ქრისტიანობის ოფიციალურ რელიგიად გამოცხადების შემდეგ და ის ბერძნულ ანბანს უნდა ეფუძნებოდეს. ვ. გარდტდტჰაუზენი იყო პირველი მეცნიერი, ვინც აღნიშნული აზრი გამოთქვა (1876 წ.). ბერძულიდან მომდინარედ მიიჩნევდნენ ქართულ ანბანს ასევე დ. ბაქრაძე (დროის თვალსაზრისით იგი ასომთავრულის შექმნას საქართველოს შავიზღვისპირეთის ბერძნულ კოლონიზაციას უკავშირებდა) და დ. კარიჭაშვილი. ჩვენს დროში კი კ. კეკელიძე, ა. შანიძე, თ. გამყრელიძე, ვ. ბოედერი და სხვანი. ამათგან, თ. გამყრელიძემ სრულიად დამაჯერებლად აჩვენა სომხური საისტორიო წყაროების ცნობათა სრული უსაფუძვლობა, ქართული ანბანის მესრობ მამტოცის მიერ შექმნის შესახებ. უახლოეს ხანებში, მამტოცის ავტორობა ქართული ანბანისთვის ასევე გამორიცხა ავსტრიელმა პროფესორმა ვერნერ ზაიბტმა (W. Seibt, "Wo, wann und zu welchem Zweck wurde das georgische Alphabet geschaffen?", in: Die Entstehung der kaukasischen Alphabete als kulturhistorisches Phänomen / The Creation of the Caucasian Alphabets as Phenomenon of Cultural History. Referate des Internationalen Symposiums, Wien, 1-4 Dezember 2005).

სულ ახლახანს კი, 2016 წლის 15 თებერვალს, ისტორიკოსმა ბენიკ ხურცილავამ სადისერტაციო ნაშრომი დაიცვა სათაურით – „რელიგიური მრწამსი და მსოფლმხედველობა ადრექრისტიანული ხანის იბერიაში“, რომლის დიდი ნაწილი სწორედ ქართული ანბანის წარმოშობის კვლევას და მის ავტორობას მიეძღვნა. ბ. ხურცილავას შრომა, მისი დასკვნებით, სწორედ მეორე კატეგორიას განეკუთვნება, რომლის თანახმადაც, ქართული ასომთავრული შექმნილია ბერძნული ანბანის საფუძველზე ჩვენში ქრისტიანობის შემოღების შემდეგ. მაგრამ პრინციპული სიახლე ხურცილავას ნაშრომისა ის არის, რომ იგი ავლენს ქართული ასომთავრულის შემქმნელის ვინაობას, რომელიც, მისი აზრით, არის IV საუკუნის მეორე ნახევრის მოღვაწე, ბერძნულ-

რომაული წყაროებისთვის კარგად ცნობილი სახელოვანი მოღვაწე ბაკური, რომელიც ჯერ რომაელთა სამხედრო სამსახურში იყო, ხოლო IV საუკუნის 90-იანი წლების შუა ხანებიდან ქართლის სამეფოს ტახტზე უნდა ასულიყო.

უნდა ითქვას, რომ ეს არ არის ბ. ხურცილავას პირველი ნაშრომი ანბანის პრობლემატიკაზე. დისერტაციას წინ ხანგრძლივი, თითქმის ორი ათეული წლის კვლევა უძღოდა და სხვადასხვა დროს ამ მიმართულებით რამდენიმე წიგნიც გამოსცა. პირველად 2002 წელს დაიბეჭდა „ქართული ასომთავრული ანბანის შექმნის ეპოქის, გარემოებებისა და ავტორთა ვინაობის საკითხისათვის“; შემდეგ, 2005 წელს „დიდი ბაკური – ქართული ასომთავრული დამწერლობის ფუძემდებელი“; დაბოლოს, 2009 წელს „ქართული ასომთავრული ანბანი და მისი ავტორები: „ბაკურ“ და „გრი ორმიზდ“. ამ ნაშრომთა გაცნობა საინტერესოა იმ თვალსაზრისითაც, რომ მკითხველს ნათელი წარმოდგენა შეექმნება იმაზე, თუ როგორი იყო კვლევა მის საწყის და შემდგომ ეტაპებზე; გზა და გზა მკვლევარი როგორ ავლენდა ამ მრავალფეროვანი და მრავალწახნაგოვანი პრობლემის ახალ-ახალ პლასტებს. პირველ მონოგრაფიაში ავტორი უფრო მეტ აქცენტს სარწმუნოებრივ ნიუანსებზე აკეთებდა და ცდილობდა ასომთავრული ანბანი სწორედ ამ კუთხით მოეყვანა შესაბამისობაში იმ ეპოქასთან, რომელში შექმნილადაც მას თვლიდა, ანუ ახ. წ. IV საუკუნის მეორე ნახევართან. 2005 წელს გამოცემულ მონოგრაფიაში ძირითადი კვლევის ობიექტი იყო ბაკურის პიროვნება, მისი ბიოგრაფია და ქართული ანბანის წარმოშობის პრობლემატიკის მასთან მისადაგება. მესამე მონოგრაფიაში ნაშრომმა უკვე მთლიანი, გამართული კონცეფციის სახე მიიღო. აქ ასომთავრულის წარმოშობის საკითხი განხილულია ლინგვისტურ-ფილოლოგიური, წყაროთმცოდნეობითი, ჰერმენევტიკული და კალენდარული ძიებების შუქზე და ასევე, დამატებით, კავკასიური ანბანების – სომხურის, ალბანურისა და ქართულის პარადიგმატიკის კუთხითაც.

შეიძლება ითქვას, რომ ბ. ხურცილავას დისერტაცია მისი მრავალწლიანი სამეცნიერო შრომის გვირგვინია, რომლითაც მან სრული სისავესით, რამდენადაც არსებული საისტორიო წყაროები ამის საფუძველს იძლევიან, წარმოაჩინა ადრექრისტიანული საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული პიროვნება – დიდი ბაკური. ამ ნაშრომების წყალობით, თვალსაჩინო ხდება ბაკურის სიბრძნისა და ლოგოსთა სიყვარულის (ბაკურის დახასიათება ცნობილი ფილოსოფოსის ლიბანიოსის მიერ) კონკრეტული ნაყოფი – ქართული ასომთავრული ანბანი.

თუმცა, ბაკურის, როგორც ასომთავრული ანბანის შემოქმედის ეპოპეა ამით არ დასრულებულა. 2014 წელს, ბესიკ ხურცილავასგან

სრულიად დამოუკიდებლად ამავე აზრამდე მივიდა ვალიადოლიდის უნივერსიტეტის პროფესორი ხუან ს. კოდონიერი (Juan Signes Codoñer, „New Alphabets for the Christian Nations: Frontier Strategies in the Byzantine Commonwealth between the 4th and 10th Centuries“, წიგნი *New Perspectives on Late Antiquity in the Eastern Roman Empire*, 2014). კერძოდ, ის, იკვლევს რა ისტორიულ და კულტურულ ვითარებას ადრექრისტიანული ხანის რომის იმპერიის აღმოსავლეთ საზღვრებზე, მიდის დასკვნამდე, რომ ამ ეპოქაში იმპერია წყვეტს დაპყრობით ომებს ამ მიმართულებით და ხელს უწყობს მეგობარი, ქრისტიანი ერებისთვის მათი ეროვნული სახელმწიფოს შექმნას, მათ შორის, კულტურული თვალსაზრისით, მისიონერების მეშვეობით. სწორედ ამით ხსნის მეცნიერი ქრისტიანულ დამწერლობათა შექმნის ბუმს ადრექრისტიანულ ეპოქაში. ეს დამწერლობებია – კოპტური, სირიული (ესტრანგელო და მისგან მომდინარე დას. და აღმ. სირიული დამწერლობები), ქართული, სომხური, ალბანური, გოთური, ეთიოპური (ვოკალიზებული ვერსია), ნუბიური, წინარეისლამური ჩრდ. არაბული და სამხ. არაბული. მისივე დაკვირვებით, იგივე ტენდენცია გრძელდება მოგვიანებითაც, როდესაც ბიზანტიელი მისიონერები კირილე და მეთოდე ეროვნულ დამწერლობებს უქმნიან სლავებს გლაგოლიცისა და კირილიცის სახით.

კონკრეტულად ქართულ ანბანზე მსჯელობისას ხ. კოდონიერი აღნიშნავს, რომ ქართული ანბანი დიდი ალბათობით უნდა შექმნილიყო პალესტინაში, ქართველი ბერების წრეში, სადაც უძველესი ქართული წარწერებია დადასტურებული. ბაკურთან დაკავშირებით კი ის წერს:

“Unfortunately, we lack any reference to a possible inventor of Georgian letters, who could have promoted an adaptation of the Greek alphabet to write his own language. Whoever he was and wherever he conceived the adaptation, he must have relied on the support of some Georgian prince, exactly as Mesrop did. And this prince probably acted also in connection with the Romans. From a solely typological point of view, a good candidate would be prince Bacurius of Georgia, who is mentioned in many sources of the second half of the 4th c., and acted as a general under the emperors Valens and Theodosios I. Although usually considered a pagan because of one letter Libanios addressed to him (n° 1060, ed. Foerster, 1921-1922), Bacurius could have later converted to Christianity for he visited the Church historian Rufinus several times in his monastery at the Mount of Olives and was the source of the historian’s account of Georgia’s conversion to Christianity.”

„სამწუხაროდ, ჩვენ არ გვაქვს არავითარი ცნობა ქართული დამწერლობის შესაძლო შემქმნელზე, ვისაც შეეძლო ხელი შეეწყობა ბერძნული ანბანის ადაპტაციისთვის საკუთარ ენაზე საწერად. ვინც უნდა ყოფილიყო და სადაც უნდა ჩაეფიქრებინა ადაპტაცია, მას უნდა ჰქონოდა ვიღაც ქართველი დიდებულის მხარდჭერა, როგორც ეს

მესროპმა გააკეთა. და ეს დიდებული, შესაძლოა, მოქმედებდა, ასევე, რომაელებთან შეთანხმებით. თუნდაც მხოლოდ ტიპოლოგიური თვალსაზრისით, ამისთვის კარგი კანდიდატი იქნება ქართველი უფლისწული ბაკურიუსი, რომელიც მე-4 საუკუნის ბევრ წყაროში იხსენიება და მსახურებდა გენერლად იმპერატორებთან ვალენსისთან და თეოდოსი I-თან. მიუხედავად იმისა, რომ, ჩვეულებრივ, მას წარმართად მიიჩნევენ, ლიბანიოსის მის მიმართ მიწერილი წერილის გამო (n° 1060, Foerster-ის გამოცემა, 1921-1922), ბაკურიუსი შეიძლება მოგვიანებით მოქცეულიყო ქრისტიანობაზე, რისთვისაც ის რამდენჯერმე ეწვია ეკლესიის ისტორიკოს რუფინუსს მის მონასტერში ზეთისხილის მთაზე და იყო ისტორიკოსთა წყარო, საქართველოს ქრისტიანობაზე მოქცევის შესახებ ცნობებისა.“

როგორც ვხედავთ, ორი მეცნიერის დამოუკიდებლად მიღებული დასკვნები დიდი ბაკურისა და ქართული ასომთავრულის კავშირის შესახებ სერიოზულ პერსპექტივას იძლევა ქართული დამწერლობის შემდგომი შესწავლის კუთხით. ამ მოვლენას თამამად შეიძლება ვუწოდოდთ ხურცილავა-კოდონიერის თეორია. დარწმუნებული ვარ, რომ საკითხის მომავალი მკვლევარები გვერდს ვერ აუქცევენ მათ თეორიას დიდ ბაკურზე, როგორც ასომთავრულის ავტორსა თუ თანაავტორზე.

*10/23 თებერვალი,  
ღირსისა იოანე ჭიმჭიმელისა, ფილოსოფოსისა*